სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31095627393823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N23036647

რეგისტრაციის თარიღი

01.08.2023 წ

ნოტარიუსი: ელენე მერგელ

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის პირველ აგვისტოს, მე, ელენე მერგელს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზ. #22/4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, ბატონმა კახაბერ ნიქაბაძემ (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 17.10.1975წ. პირადი ნომერი: 18001005602, რეგისტრირებული: თბილისი ლისის იასამნების ქ. N 5 ბ. 9), რომელმაც განაცხადა, რომ წარმოადგენს შპს „გიკო 4“-ს (რეგისტრირებული: 16/06/2009წ. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N 103 , (ნაკვ.04/001) ; თბილისი, კახეთის გზატკეცილი, მე-12 კილომეტრზე, (ნაკვ. 01/024), ს/ნ 205281069) (შემდგომ ტექსტში „მარწმუნებელი“ და/ან „კომპანია“), როგორც ამ საზოგადოების დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. კომპანიის წარმომადგენელმა კომპანიის სახელით მოითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. ვადასტურებ, რომ კახაბერ ნიქაბაძის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნება, რის შემდგომაც შევადგინე მინდობილობის შემდეგი პროექტი:

რწმუნებულება

ორი ათას ოცდასამი წლის პირველ აგვისტოს, შპს „გიკო 4“ (ს/კ 205281069) (შემდგომში - “მარწმუნებელი” და/ან „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ ნიქაბაძის მიერ

ბ-ნ გიორგი ჯანიაშვილს (საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01017033100) (შემდგომში - „რწმუნებული“)

ანიჭებს შემდეგი უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის მუნიციპალურ ორგანოებში, გამგეობებში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში (მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში და სხვა), საარქივო დაწესებულებებსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, იუსტიციის სახლში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, როგორც მარწმუნებლის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მონაწილე მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი, მათ შორის, რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე: ა) ს/კ 01.19.18.004.067; ბ) ს/კ 01.19.18.004.069, გ) 01.19.18.004.070 და დ) ს/კ 01.19.18.004.673 ნებისმიერი სახის მშენებლობა; ამ მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების შეთანხმება/კორექტირება, მშენებლობის/რეკონსტრუქციის, მიშენება/დაშენების და ნებისმიერი სხვა ნებართვის მიღება, როგორც მატერიალურად/ისე ელექტრონულად წარადგინოს პროექტები, განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, აზომვითი ნახაზები (მათ შორის ელექტრონული), სხვა აუცილებელი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი, შეიტანოს ცვლილებები საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში, მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან თუ კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნებისმიერი შინაარსის ცნობა, მოწმობა, ბრძანება, ნებართვა, ამონაწერი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, მოახდინოს აუცილებელი მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდა,

აგრეთვე შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე დავალების შესასრულებლად.

2. მინდობილობა ძალაშია 2 (ორი) წლის ვადით.

წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე მარწმუნებელს, განვუმარტე მას აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს მინდობილობა. ამასთან, მინდობილობის გაუქმება არ იმოქმედებს მინდობილობის გაუქმებამდე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებების თუ შესრულებული მოქმედებების ნამდვილობაზე. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მისი შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

სანოტარო აქტის ეგზემპლარების რაოდენობა: 3 (სამი), რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ელენე მერგელის სანოტარო არქივში.

სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში დანართის სახით თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან „მარწმუნებლის“ შესახებ.

სამეწარმეო საზოგადოების წესდებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული სტანდარტული წესდება.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის: 30.00 ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ 5.40 ლ. თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, აგრეთვე 5.00 ლ. – სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე მარწმუნებელის წარმომადგენელს, განვუმარტე მას აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს მინდობილობა. ამასთან, მინდობილობის გაუქმება არ იმოქმედებს მინდობილობის გაუქმებამდე რწმუნებულების მიერ დადებული გარიგებების თუ შესრულებული მოქმედებების ნამდვილობაზე. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მისი შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი
ელენე მერგელი